ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 აპრილი, სამშაბათი, 1990 წ.
№77 (10 245) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის

# წინ მსოფლიო პირველობაა

**ახლახანს** ლენინგრადმა უმასპინძლა თავისუფალი სტილით მოჭიდავე 17–18 წლის ჭაბუკთა სსრ კავშირის პირველობას, სადაც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. საქართველოს გუნდი წარმოდგენილი იყო 23 მოჭიდავით (შედარებისათვის — რსფსრ-ის გუნდში 97 სპორტსმენი გამოდიოდა).

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შესანიშნავად იჭიდავა გორის ეკონომიკური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტმა, 63 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ზაზა ზოზიროვმა („შევარდენი", მწვრთნელები — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნუგზარ სხირელი და ირბეგ ჯიოშვილი). მან წინასწარ ჩატარებული ხუთი შეხვედრიდან, ორში წმინდა გამარჯვება მოიპოვა, სამშიც ქულებით დაჯაბნა მეტოქეები. ფინალში მისი მოწინააღმდეგე გახლდათ რსფსრ-ის წარმომადგენელი, მახაჩყალელი რამის რამაზანოვი. ზოზიროვის უპირატესობა აშკარა იყო და მსაჯებს ვადამდე მოუხდათ ორთაბრძოლის შეწყვეტა — 17:2.

აქვე გაუწყებთ, რომ მარტში, ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე (ახალგაზრდებს შორის) ზაზა ზოზიროვი ჭრთადერთი ჭაბუკი მოჭიდავე გახლდათ. მას საკავშირო ნაკრების მწვრთნელებმა ერთგვარი გამოცდა მოუწყვეს და ზაზამ ეს გამოცდა „ფრიადზე ჩააბარა" — პირველი ადგილი დაიკავა.

82 კგ წონით კატეგორიაში „ქართული ფინალი" გაიმართა. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ სოხუმელები ელდარ კურტანიძე (მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შოთა კიკაბიძე და ჯიმშერ გურჩიანი) და ზაზა გოგუა (მწვრთნელები — შ. კიკაბიძე და გიგლა ხარებავა). ორივე მოჭიდავე სპორტსაზოგადოება „შევარდენის" წევრია. ამ ორთაბრძოლაში იმარჯვა ე. კურტანიძემ და პირველი ადგილი დაისაკუთრა. სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა გუნდის დებიუტანტმა, თბილისელმა ივანე ყუმიტაშვილმა („მართვე", მწვრთნელი — ვლადიმერ ვალიშვილი), რომელიც 46 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა და მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.



ზაზა ზოზიროვი



ელდარ კურტანიძე

58 კგ წონაში ერთ-ერთ ფავორიტად საერთაშორისო ტურნირ „დრუჟბას" შარშანდელი გამარჯვებული კახაბერ ლევიძე ითვლებოდა (ქუთაისი, „შევარდენი", მწვრთნელები — ავთანდილ გოდვაძე და ნოშრევან ქოიავა), მაგრამ წინასწარ შეხვედრაში მან დასანანი მარცხი იწვნია გროზნოელ ასლან ისრაელოვთან. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ქულებით დაამარცხა რსფსრ-ის გუნდის წევრი გამზათ იუსუპოვი. ასევე მესამე ადგილი ხვდა წილად მძიმე წონის მოჭიდავეს, გუნდის დებიუტანტს, კასპელ ალექსანდრე გზირიშვილს („შევარდენი", მწვრთნელები — ზელემხან ილურიძე, მალხაზ მერმანიშვილი), რომელმაც მესამე ადგილისთვის ბრძოლაში წმინდა გამარჯვება მოიპოვა ორჯონიკიძელ ელბრუს პლიევთან შეხვედრაში.

საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში 29 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. პირველი იყო რსფსრ-ის ნაკრები — 48 ქულა, მეორე — სომხეთის გუნდი — 34 ქულა.

როგორ შეიძლება შეფასდეს ჩვენი ჭაბუკების ასპარეზობა? ამ კითხვით მივმართეთ ჭიდაობის გაერთიანების განყოფილების უფროსს ვაჟა იმერლიშვილს:

— ჩვენი სპორტსმენების ასპარეზობას „კარგზე" შევაფასებდი, თუმცა, ცხადია, შეიძლებოდა უკეთესად გვეასპარეზა და მეტი ნადავლით დავბრუნებულიყავით. ჩვენს გუნდში გამოდიოდნენ სსრ კავშირის შარშანდელ პირველობაში გამარჯვებული ჭაბუკები ზ. ლოლუა და დ. ხაბელაშვილი, რომლებიც მედლების რეალურ კანდიდატებად ითვლებოდნენ, მაგრამ... უმედლებოდ დარჩნენ. ყველა პრიზიორს ერთხელ კიდევ მოუწევს თავისი სიძლიერის დამტკიცება ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაში გამოსვლის უფლება რომ მოიპოვოს.

**ზია ნათაძე.**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ქალთა შორის ჭადრაკში

# დაუმარცხებელი არავინ დარჩა

**მეცხრე ტური.** ალექსანდრია — იოსელიანი 0,5:0,5, კობაიძე — ხუგაშვილი 1:0, კახიანი — გაფრინდაშვილი 1:0, ნიკოლაძე — გურიელი 0:1, არახამია — ხურცილავა 1:0. მელაშვილი — სადუნიშვილისა და ქასოშვილი — ლანჩავას პარტიები გადაიდო.

**მეათე ტური.** იოსელიანი — არახამია 1:0, ხუგაშვილი — ალექსანდრია 0:1, გაფრინდაშვილი — კობაიძე 1:0, გურიელი — ლანჩავა 1:0, სადუნიშვილი — კახიანი 0,5:0,5, ნიკოლაძე — მელაშვილი 0,5:0,5. ხურცილავა — ქასოშვილის პარტია გადაიდო.

ამ ტურების შესახებ გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **სულიკო მებრელიშვილი**:

— **მეცხრე ტური** დაიწყო ალექსანდრია — იოსელიანის შეხვედრის მე-12 სვლაზე დაზავებით. საერთოდ კი უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი ყაიმი ეროვნული ჩემპიონატისთვის სულაც არ არის დამახასიათებელი, ორიოდე მაგალითის დასახელება თუ შეიძლება — დანარჩენში ცხარე ბრძოლა მიმდინარეობს.

ფინიშის მოახლოებასა და მონაწილეთა უდავო დაღლასთან დაკავშირებით, იმატა შეცდომებმა. ნონა გაფრინდაშვილის პარტიებს თვალყურს ვადევნებ ჯერ კიდევ მოსწავლეთა შეჯიბრებებიდან და, გამოგიტყდებით, ასეთი რამ მის პარტიებში ჯერ არ შემხვედრია. რთულ პოზიციაში ნონას გამორჩა თეთრების საკმაოდ მარტივი ტაქტიკური დარტყმა და თავი დამარცხებულად სცნო. ამის შემდეგ პირველი ადგილის ორად-ორი პრეტენდენტი-ღა დარჩა — არახამია და იოსელიანი, თუმცა, რა თქმა უნდა, მათი შესაძლებლობები ამჟამად საკმაოდ განსხვავებულია.

არახამიამ თანმიმდევრულად წარმართა მთელი პარტია ხურცილავასთან. სიცილიურ პარტიაში თეთრებით მეთოდურად უტევდა მეფის ფრთაზე მაშინ, როდესაც მეტოქის კონტრთამაში ბრძოლის საპირისპირო უბანზე აშკარად დაგვიანებული აღმოჩნდა. არახამიამ დიდი მატერიალური უპირატესობა მოიპოვა და ზედიზედ მეცხრე გამარჯვებაც.

კობაიძემ მოუგო ხუგაშვილს. ნიკოლაძეს ზედმეტი ფიგურა ჰქონდა გურიელთან, მაგრამ შემდეგ შეცდომები მოუვიდა და არათუ ვერ გამოიყენა უპირატესობა, წააგო კიდეც. ორი პარტია ამ ტურში დაუმთავრებელი დარჩა.

გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელიც **მეათე ტურში** იოსელიანისა და არახამიას შეხვედრამ გამოიწვია. არახამია მთელი ორი ქულით უსწრებდა უახლოეს მეტოქეს. ყაიმის შემთხვევაშიც კი იგი, ფაქტიურად, პირველ ადგილს ინაღდებდა. გათამაშდა ძველინდური დაცვა. უნდა ითქვას, რომ ამ დაცვის წინააღმდეგ იოსელიანი განსაკუთრებით ძლიერად თამაშობს. თეთრები, როგორც ძველინდური დაცვის მთელი რიგი ვარიანტებისთვის არის დამახასიათებელი, აქტიურად თამაშობდნენ ლაზიერის ფრთაზე, სადაც პაიკებით გარღვევა განახორციელეს. ამის საპასუხოდ ლიდერი თავის ძირითად ძალებს მეფის ფრთაზე უყრიდა თავს. თავიდანვე დაისვა საკითხი: ვინ — ვის? იოსელიანი მთელი პარტიის მანძილზე ინარჩუნებდა პოზიციურ უპირატესობას. ორივე მეტოქე მძაფრ ცაიტნოტში აღმოჩნდა. იოსელიანი ლაზიერითა და ეტლით შეიჭრა მეტოქის ბანაკში და გაიმარჯვა. ამრიგად, ტურნირში დაუმარცხებელი აღარავინ დარჩენილა. მანძილი ლიდერსა და მის უახლოეს მდევარს შორის ერთ ქულამდე შემცირდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა დასკვნით ტურებში მეტისმეტად მძაფრი იქნება. ისიც უნდა ითქვას, რომ იოსელიანს შედარებით უფრო „იოლი მეტოქეები" დარჩა, ვიდრე არახამიას.



ციური კობაიძე

გაფრინდაშვილმა კობაიძესთან პარტიაში საგრძნობი პოზიციური უპირატესობა მიიღო, შემდეგ მეფის ფრთაზე ეტლები დააწყვილა და მეთოდური თამაშით გაიმარჯვა. ახლა იგი კახიანთან, გურიელთან და ალექსანდრიასთან ერთად მესამე ადგილისთვის იბრძვის.

კახიანმა შავებით მდგომარეობა გაათანაბრა სადუნიშვილთან და სწრაფად შეუთანხმდა ყაიმზე. ასეთივე შედეგით დასრულდა ნიკოლაძე — მელაშვილის შეხვედრაც. დებიუტიდან გამოსვლისთანავე ლანჩავას მძიმე შეცდომა მოუვიდა გურიელთან. მან დათმო ფიგურა იმის იმედით, რომ მალე დაიბრუნებდა მას და კარგ პოზიციასაც მიიღებდა. სინამდვილეში კი გურიელმა შეინარჩუნა მატერიალური უპირატესობა და მოიგო შეხვედრა. ხურცილავასთან გადადებულ პარტიაში ქასოშვილს ზედმეტი პაიკი აქვს.

10 ტურის შემდეგ შეჯიბრების მონაწილეები, შეიძლება ითქვას, ორ ძირითად ჯგუფად გაიყვნენ. ექვსი მათგანი აგრძელებს ბრძოლას საპრიზო ადგილებისთვის. ტურნირში ჯერ კიდევ ბევრი საინტერესო შეხვედრაა მოსალოდნელი. არახამია ბოლო ორ ტურში შეხვდება გაფრინდაშვილსა და სადუნიშვილს, იოსელიანი — ლანჩავასა და ხურცილავას.

**მონაწილეთა მდგომარეობა 10 ტურის შემდეგ: არახამია — 9 ქულა, იოსელიანი — 8, გურიელი და კახიანი — 6,5–6,5, გაფრინდაშვილი — 6 (1 გადადებული), ალექსანდრია — 6, ქასოშვილი — 3,5 (2), ხუგაშვილი — 3,5, მელაშვილი — 3 (2), სადუნიშვილი 3 (1), ლანჩავა, ხურცილავა — 3–3 და თითო გადადებული პარტია, ნიკოლაძე — 3, კობაიძე — 2 ქულა.**



თამარ ხუგაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში თბილისის „იბერია" მასპინძლობდა ოჩამჩირის „ამირანს". სურათზე თქვენ ხედავთ ამ მატჩის ერთ-ერთ მომენტს. ტურის მატჩებზე მასალებს გაცნობებთ მე-2–3 გვ.

ა. კოპლამაზაშვილის ფოტო.

## ა. ჩივაძე ვიცე-პრეზიდენტია

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაციიდან გვაცნობეს, რომ ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია სპორტის დამსახურებული ოსტატი **ალექსანდრე ჩივაძე.**

## საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში, III ტური

**„ა" ქვეჯგუფში:** სამხატვრო აკადემია — სსი „შევარდენი" 6:9, „მიმინო" — „იმერეთი" (ჭიათურა) 26:9;

**„ბ" ქვეჯგუფში:** რაგბის ასოციაცია — „სათაფლია" (წყალტუბო) 29:17, „გელათი" (ქუთაისი) — ზოოვეტერინარული ინსტიტუტი 36:9;

ამ ტურის ვრცელ მიმოხილვას „ლელოს" მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

**დღეს** ვაკის სტადიონზე მეოთხე ტურის გამორჩეული შეხვედრა გაიმართება: 17 საათზე ქვეჯგუფის ლიდერი „მიმინო" აღმავლობის გზაზე შემდგარ სამხატვრო აკადემიის გუნდს ეთამაშება.

**ჰაიდენჰაიმი** (გფრ). დაშნით ფარიკაობაში მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა არნდ შმიტმა მოიგო. ფინალში მან მოსკოველი ანდრეი შუვალოვი დაამარცხა — 2:1. მესამე ადგილი იტალიელ ანჯელო მაცონის ერგო, რომელმაც გადამწყვეტ ბრძოლაში იმავე ანგარიშით მეორე მოსკოველ მოფარიკავეს პავლე კოლობკოვს აჯობა. მსოფლიო თასის გათამაშების საერთო ჩათვლაში შმიტი და კოლობკოვი ლიდერობენ. ორთავეს 54–54 ქულა აქვთ.

ტელეტაიპი – მკითხველს

# პრემიები გამარჯვებულებს

**როგორც** ჩვენმა მკითხველებმა იციან, კარგა ხანია დამთავრდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემისადმი მიძღვნილი კონკურსი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია და ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა. სპეციალურმა ჟიურიმ შეარჩია ღირსეული ნამუშევრები, რომელთა შორის საუკეთესოს პირველი პრემია გადაეცა.

1990 წლის 25 აპრილს დღის 2 საათზე ჭადრაკის სასახლეში გაიხსნება კონკურსში გამარჯვებულ და შერჩეულ ნამუშევართა გამოფენა. იგი გაგრძელდება ამა წლის 30 აპრილამდე და, დარწმუნებული ვართ, გარკვეულ ინტერესს გამოიწვევს. 25 აპრილს ავტორებს გადაეცემათ პრემიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ჯგუფი

**„იბერია" (თბილისი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 6:0 (1:0)**

**თბილისი. ცენტრალური სტადიონი. 22 აპრილი.**

**„იბერია": ხაპოვი, კეტაშვილი, ცხადაძე, პედია, ჭიშკარიანი (ნემსაძე), რევიშვილი (გოგიჩაიშვილი), ქეცბაია, ჩიქოვანი, ცაავა, გურული (კაჭარავა), ჯამარაული.**

**„ამირანი": მესხია, ჩხვირკია, გოგოხია, შელია, ახვლედიანი, თ. შამუგია (შამათავა), ძალამიძე, დ. კაკუბავა (მ. კაკუბავა), ქობალია, აფენდოპულო, ჭითანავა (ლურწკაია).**
**მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), მ. მირცხულავა (ლანჩხუთი), ა. შილაკაძე (თბილისი).**

**გააფრთხილეს ახვლედიანი („ამირანი").**

**როდესაც** მსაჯის სასტვენმა ფეხბურთელებსა და მაყურებლებს მატჩის დაწყება ამცნო, ოჩამჩირელთა შემადგენლობაში მინდორზე თორმეტი მოთამაშე იყო. საქმე ისაა, რომ „ამირანის" კოლექტივის გადაწყვეტილებით გუნდმა თავის საპატიო წევრად აირჩია ყოფილი თანაგუნდელის, შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი, ტრაგიკულად დაღუპული ფეხბურთელის ვიტალი დარასელიას შვილი, პატარა ვიტალი. და, ალბათ, სიმბოლური იყო, რომ პირველ ეროვნულ ჩემპიონატში თბილისის „იბერიისა" და ოჩამჩირის „ამირანის" პირველ შეხვედრაში ბურთი თამაშში სწორედ ვიტალი დარასელიამ შეიყვანა.

განვლილ ოთხ ტურში „ამირანი" ყველა მატჩში დამარცხდა და თუ მათ არც ერთი გოლი არ ჰქონდათ გატანილი მეტოქეთა კარში, საკუთარშიც მხოლოდ ხუთი ჰქონდათ მიღებული, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ კარგად თამაშობს დაცვის ხაზი, საიმედოა მეკარე. ვერ გეტყვით, როგორ მოქმედებდნენ. ისინი წინა შეხვედრებში, თბილისში კი მათ ვერ დატოვეს კარგი შთაბეჭდილება. ამაზე ნათლად მეტყველებს ერთბაშად 6 გაშვებული გოლი. რა თქმა უნდა, „იბერიის" კლასსაც უნდა მივუზღოთ თავისი, მაგრამ ცხადია, „ამირანის" მწვრთნელებს მრავალი ხარვეზის გამოსწორებაზე მართებთ ჩაფიქრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჩამჩირელებს გაუჭირდებათ უმაღლეს ჯგუფში ადგილის შენარჩუნება.

რაც შეეხება თავად მატჩს, თითქმის ორივე ტაიმის განმავლობაში თამაში ცალ კარში მიმდინარეობდა. თუ პირველ ნახევარში იბერიელებმა მხოლოდ ერთხელ აიღეს მეტოქეთა კარი (გურული, 21-ე წთ), შესვენების შემდეგ თბილისელთა ყოველი შეტევა აშკარა საგოლე მომენტით ან გოლით მთავრდებოდა. თუ ქრონოლოგიურად განვალაგებთ, ბურთები „ამირანის" კარში ასეთი თანმიმდევრობით გავიდა: 65-ე წუთი — გოგიჩაიშვილი (11-მეტრიანი), 73-ე და 76-ე — კაჭარავა, 86-ე — ცაავა, 88-ე — ქეცბაია.

ოჩამჩირელმა ფეხბურთელებმა პრაქტიკულად ვერც ერთი სახიფათო, ოდნავ მაინც რეალური საგოლე მომენტი ვერ შექმნეს მეკარე ხაპოვის კართან და თავის აქტივს ამჯერადაც ვერაფერი შემატეს.

**ბიორგი ქორიძე.**

**„სანავარდო" (სამტრედია) — „კოლხეთი" (ხობი) 2:2 (1:1)**

**სამტრედია. ე. მანჯგალაძის სახელობის სტადიონი. 22 აპრილი.**

**„სანავარდო": გვენცაძე, კობრეიძე, ვაშაკიძე, ჰელიძე, თამაზაშვილი, გოგაძე, ბაბუნიძე, შეპტიცკი, ჭიშკარიანი (დვალიშვილი), დადუნაშვილი, ამბიძე.**

**„კოლხეთი": ბაბუაძე, ჭეჭელავა, კაციტაძე, ხურცილავა, ლატარია, მამფორია, თევზაძე (გვახალია), ხიჯინავა, კალუგა (ბაკურაძე), კვირტია, ქვილითაია (რუხაძე).**
**მსაჯები: მ. კობიაშვილი, ვ. ეჯიბია, უ. ფურცელაძე (თბილისი).**

**გააფრთხილეს თამაზაშვილი („სანავარდო") და მამფორია („კოლხეთი").**

**„სანავარდო"** ლიდერთა ჯგუფში იმყოფება და შეხვედრაზე მოსული მაყურებელი საინტერესო თამაშს მოელოდა. პირველი სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართან შეიქმნა მე-10 წუთზე, მე-15 წუთზე კი თავისივე ნახევრიდან ლატარიამ წამოიწყო შეტევა, ზუსტად გადააწოდა ჭეჭელავას, რომელმაც არ დაახანა და წინ გაიყვანა „კოლხეთი" — 1:0. გაშვებული ბურთის შემდეგ სამტრედიელი ფეხბურთელები უფრო ხშირად უტევდნენ, მაგრამ კარგად თამაშობდა ხობელთა მეკარე. ტაიმის მიწურულს



„იბერია" (თბილისი) — „ამირანი" (ოჩამჩირე). შეხვედრის მომენტი.

„კოლხეთის" კარში დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც კარგად გამოიყენა ჰელიძემ — 1:1.

მეორე ტაიმი კვლავ სამტრედიელთა შეტევებით დაიწყო, გოგაძეს საჯარიმო მოედანზე უხეშად ეთამაშნენ და 11-მეტრიანი დარტყმა კვლავ ზუსტად გამოიყენა ჰელიძემ — 2:1, დაწინაურდა „სანავარდო". გაშვებული გოლის შემდეგ „კოლხეთი" უფრო გააქტიურდა, მაღალ ბურთს შეწვდა კაციტაძე და თავური დარტყმით გაქვითა ანგარიში — 2:2.

შეხვედრის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე „სანავარდომ" მეტოქის კარში გაიტანა ბურთი, მაგრამ მსაჯებმა თამაშგარე მდგომარეობა აჩვენეს და, რა თქმა უნდა, გოლი არ ჩაითვალა. აი, აქ იწყება დრამატული სიტუაცია, რომელიც არ ეკადრება საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს. განაწყენებულ მაყურებელთა ერთი ჯგუფი გადავიდა მოედანზე და გვერდით მსაჯს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. თამაში შეწყდა, თუმცა სამტრედიელ ფეხბურთელთა თხოვნით, იგი კვლავ გაგრძელდა. „სანავარდოს" შეტევისას გაისმა საფინალო სასტვენის ხმა, სამტრედიელმა მაყურებელმა მიიჩნია, რომ მსაჯმა დროზე ადრე დაამთავრა შეხვედრა, ისინი აშკარად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, ბოლოს იხუვლეს და მინდორზეც შეიჭრნენ. ბედად მსაჯები უკვე გასახდელში იყვნენ, მაგრამ მაყურებელთა ჯგუფი გარს შემოერტყა მსაჯთა გასახდელს და მოითხოვდნენ, თქვენ წარმოიდგინეთ, მათ „ლინჩის წესით" დასჯას (?!). ამ „წარმოდგენამ" ორ საათზე მეტხანს გასტანა.

დასანანია, რომ პირველი ეროვნული ჩემპიონატი ჯერ ახლა იკრებს ძალას და ყველასთვის სამწუხაროდ სამტრედიის სტადიონზე ასეთი უმსგავსობა ხდება. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით აქ ამგვარი ამბავი არ მომხდარა.

მომხდარ ფაქტზე სპორტულ-ტექნიკურ კომისიაზე იმსჯელებენ და სასჯელსაც დაადებენ, მაგრამ ჩადენილ ხულიგნობას რა ეშველება?

**ვია ბურდული.**
**„ლელოს" სპეც. კორ.**

**„გურია" (ლანჩხუთი) — „შევარდენი-1906" (თბილისი) 4:0 (1:0).**

**ლანჩხუთი. „გურიის" სტადიონი. 22 აპრილი.**

**„გურია": ქანთარია, მიქაბერიძე, ჩხაიძე, დანელია, ბაკურაძე (ცაბიხაშვილი), ცომაია, ბარათაშვილი (ქურიძე), ტყებუჩავა, კორღალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.**

**„შევარდენი-1906": დოლიძე, ელიაშვილი, სამხარაძე, კოპალეიშვილი, ძნელაძე, ჩხეიძე, ტარტარაშვილი (მურმანიშვილი), კაკილაშვილი, მინაშვილი (ზეიკიძე), ყიფიანი, ყულიაშვილი (სხირტლაძე).**

**მსაჯები: ჯ. წერეთელი, მ. ფოლადაშვილი (რუსთავი), ვ. წულაძე (ფოთი).**

**როგორც** ხშირად ხდება ხოლმე, ჩემპიონატის ლიდერს აუტსაიდერთან თავიდან უჭირს თამაშის აწყობა, რადგან საკუთარ ძალებში ზედმეტად დარწმუნებულები ვერ აფასებენ მეტოქის შესაძლებლობებს. ასე მოხდა ამ შეხვედრაშიც. ლანჩხუთელებს არ ეგონათ თუ ასეთ წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ სტუმართა მხრივ და ამიტომ თამაში უფრო ნელ ტემპში დაიწყეს.

შეხვედრის დასაწყისშივე რამდენიმე სახიფათო მომენტი შეუქმნეს მეკარე დოლიძეს, მაგრამ, მისი თავგანწირული თამაშის წყალობით თბილისელთა კარი გადაურჩა აშკარა გოლს.

ნელ-ნელა თამაში აეწყო, ინერტული, ფრაგმენტული ხასიათის შეტევები უფრო გააზრებული გახდა და გუნდი ერთ მუშტად შეიკრა. თავდასხმას აქტიურად ეხმარებოდნენ მიქაბერიძე, ჩხაიძე, ცომაია, ტყებუჩავა. შეხვედრის 33-ე წუთზე სწორედ ამ უკანასკნელმა ცენტრიდან გადააწოდა ბურთი ფრიდონაშვილს, რომელმაც თავის გადააწოდა უგრელიძეს, მან კი გაიტანა კიდეც ბურთი. თამაშის მეორე ნახევრის დასაწყისშივე შეტევა წამოიწყო ლევან ბარათაშვილმა, იგი შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმოზე, დოლიძემ ნახტომში მოიგერია დარტყმა, რითაც ისარგებლა ბაკურაძემ და ანგარიში ორამდე გაზარდა.

შეხვედრის 63-ე წუთზე ბარათაშვილმა მოატყუა რამდენიმე მცველი, გადააწოდა კორღალიძეს, რომელიც კართან ახლოს რთულ პოზიციაში იმყოფებოდა, მაგრამ შეძლო მომენტის გამოყენება.

დიდი ანგარიშით დამარცხების საშიშროებამ მოადუნა თბილისელი ფეხბურთელები, მოიკლო კონტრშეტევებმა, ამან მისცა საშუალება „გურიას" კიდევ ერთი გოლი გაეტანა. ჩამოწოდებულ ბურთს საჯარიმოზე მიქაბერიძე დახვდა და დაუყოვნებლივ გაიტანა ბურთი დოლიძის კარში.

4:0 — ამ ანგარიშით გაიმარჯვა „გურიამ" და განიმტკიცა ლიდერის პოზიცია.

**„ლელოს" სპეც. კორ.**

**„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „გორდა" (რუსთავი) 0:2 (0:1)**

**ფოთი. ცენტრალური სტადიონი. 21 აპრილი.**

**„კოლხეთი-1913": გვახალია, კურგენიანი, ჭაჭაია, გიორგაძე, თიბილაშვილი (ჭყონია), შამათავა, თოფურია, მახარაძე, ჭულელი, მთვარაძე, ავრამიდისი.**

**„გორდა": მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, პუდინოვი, ქასრაშვილი, აფციაური, ტ. კაპანაძე, მეტრეველი (დიმიტრიშვილი), ა. კაპანაძე, ფანცულაია (კილასონია), მიქაშავიძე (წიკლაური).**

**მსაჯები: ა. მილჩენკო ო. გაგუა, ვ. ტოროსიანი (სოხუმი).**

**გააფრთხილეს მიქაშავიძე, აფციაური („გორდა").**

**ფოთს** ბევრი გამოჩენილი ფეხბურთელი ჰყავს, რომელთა წარსულსაც ქართული ფეხბურთის ფესვებთან მივყავართ; ბორის პაიჭაძე, გრიგოლ გაგუა, კაკო ყალიჩავა, კაკო იმნაძე და სხვანი, ეს სახელები ამ ქალაქმა აჩუქა ქართულ ფეხბურთს. გახსოვთ, ალბათ, როგორ მიესალმა თითქმის ას წელს მიტანებული შალვა პაიჭაძე ეროვნული ჩემპიონატის გახსნას და ჩვენც, უხუცესი ფეხბურთელის სამშობლოში ჩასულებს, უფლება არ გვქონდა არ ვწვეოდით მას და მადლობა არ გვეთქვა გულისხმიერებისათვის, არ მიგველოცა მისთვის ფოთში ეროვნული ჩემპიონატის გახსნა.

— სიცქვიტე, ბაბუა, სიცქვიტე და საქმის მიმართ კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ფეხბურთის უანგარო სიყვარული აკლიათ ახლანდელებს. — დიდი სინანულით აღნიშნა მოხუცმა.

შალვა პაიჭაძეს გასახსენებელი ბევრი აქვს, იგი მომსწრე და მხილველია ფოთში პირველი ბურთის გაგორებისა. 1908 წელს თორმეტი წლისას ფოთში საკმაოდ ცნობილ „ზივერტის გუნდში" უთამაშია. ეს შეხვედრა 96 წლის ვეტერანთან ამ მეტად ორიგინალური დღის მხოლოდ შესავალი გახლდათ, ქალაქი იმ დღეს ფეხბურთით სუნთქავდა, ფეხბურთით არსებობდა.

ფეხბურთის ზეიმი რა ზეიმი იქნებოდა ლეგენდარული იასონის და მისი ჩოხა-ახალუხიანი გუნდის გარეშე. ფოთელებმა ცხენზე ამხედრებულ თეთრჩოხიან რაინდს სტადიონზე შემოატანინეს სამფეროვანი დროშა და ასე ლამაზად, სითბოთი და სიყვარულით გაიხსნა ეროვნული ჩემპიონატი ამ ქალაქში.

თამაშის დასაწყისი ფოთელთა აქტიურობით გამოირჩეოდა, რუსთაველები კი თამაშობდნენ ფრთხილად, გააზრებულად, ამჟღავნებდნენ უფრო მეტ იმპროვიზაციის უნარს, კარგად მანევრირებდნენ უბურთოდ და უფრო ზუსტნი იყვნენ გადაცემისას.

პირველი ნახევრის მიწურულს კუთხური ჩამოაწოდა ტ. კაპანაძემ და ზუსტად თავზე დაუსვა ძმას ბურთი, აქ მეკარე გვასალიაც შეცდა, წინ არ გამოვიდა და 45-ე წუთზე ა. კაპანაძემ გახსნა ანგარიში — 1:0.

მეორე ნახევარი კვლავ ფოთელთა შეტევებით დაიწყო და 47-ე წუთზე ქასრაშვილმა ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი, მერე რეალური მომენტი ვერ გამოიყენეს ფოთელებმა.

სტუმართა კონტრშეტევებიდან, ერთ-ერთი, 65-ე წუთზე კარგად გამოიყენა მიქაშავიძემ, რომელმაც მინდვრის ცენტრში ფანცულაიასაგან მიიღო ბურთი, მოატყუა მცველი, მეკარეც და ანგარიში ორამდე გაზარდა.

თამაშის შემდეგ შევხვდით ორივე გუნდის მწვრთნელს და ორიოდე სიტყვა გამოთქვეს მატჩის შესახებ.

გივი ნოდია („გორდა"): შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. პირველ ტაიმში ჩვენები ზედმეტად ნერვიულობდნენ და ისე ვერააწყვეს თამაში, როგორც უნდოდათ. მეორე ნახევარში გუნდი აშკარად გამოცოცხლდა, რაზეც იმოქმედა ტაიმის ბოლო წუთზე გატანილმა გოლმა. მიუხედავად იმისა, რომ ფოთის „კოლხეთი" ძალებს არ ზოგავდა, შევძელით ანგარიში ორამდე გაგვეზარდა.

საერთოდ ეროვნული ჩემპიონატის შესახებ იმას ვიტყოდი, რომ ამ ხუთმა ტურმა გვიჩვენა, ჯერჯერობით „სუფთა" თამაში მიდის. ღმერთმა ნუ ქნას, დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთში კორუფცია გაგვიბატონდეს.

თემურ ტყებუჩავა: „კოლხეთი-1913": ვულოცავ ჩემს უფროს მეგობარს ამ დიდ წარმატებას. ჩვენი გუნდის უფროსი მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება საქმიანი ვიზიტით და ამიტომ საწყენია, რომ როცა გუნდი მე მებარა, გამარჯვებას ვერ მივაღწიეთ, თუმცა თავს ბატონ გივის მოსწავლედ ვთვლი, მის ვარჯიშებს ვესწრებოდი და კონსპექტსაც კი ვესწრებოდი და კონსპექტსაც კი ვაკეთებდი ხოლმე, ამიტომ არ მწყდება გული. ღირსეულთან დამარცხებაც ღირსეულია.

**ინგა ჩახვაშვილი.**
**„ლელოს" სპეც. კორ.**

**„ქუთაისი" (ქუთაისი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 4:2 (2:0).**

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 21 აპრილი.**

**„ქუთაისი": ქორიძე, შავგულიძე, თორლაშვილი, ბზიკაძე, თევზაძე, ნადირაძე, ფაიქიძე (სუხიაშვილი), დვალიშვილი, შენგელია, შავდათუაშვილი (ჯანაშია), მანაგაძე (თევდორაძე).**

**„სამგურალი": მიქაძე, მუშკუდიანი, წიქარიშვილი, იონანიძე (ლ. ფეხტვენიძე), ბერაძე, რ. იობიძე, ჰ. იობიძე, კერესელიძე, გოგელიძე (ხუნდაძე), ჩხაბერიძე, ხარაბაძე.**

**მსაჯები: მ. ჰელიძე, უ. ფურცელაძე (თბილისი), ჯ. წერეთელი (რუსთავი).**

**გოლები: თორლაშვილი, დვალიშვილი, შენგელია („ქუთაისი"), ბერაძე, („სამგურალი", საკუთარ კარში), წიქარიშვილი, ხარაბაძე („სამგურალი").**

**„ოზურგეთი" (ოზურგეთი)— „ცხუმი" (სოხუმი) 0:0 (0:0)**

**ოზურგეთი. ოზურგეთის სტადიონი. 21 აპრილი.**

**„ოზურგეთი": ზოიძე, ცერცვაძე, კაშია, ხამაშურიძე, კალატოზიშვილი, ბარამიძე (გელაძე), ამაშუკელი (მჟავანაძე), ათუაშვილი, თეთრაძე, ნასუაშვილი, ჩიგოგიძე.**

**„ცხუმი": ყორყოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი, გაბისკირია, პაპავა, ჯოგრიშიანი, მორგოშია, ხიჯინავა.**

**მსაჯები: ა. კოკაია, გ. სეფიაშვილი, ვ. ეჯიბია (თბილისი).**

**11-მეტრიანი დარტყმა ვერ გამოიყენა ნასუაშვილმა.**

**„მზიური" (გალი) — „ლიახვი" (ცხინვალი) 2:0 (2:0)**

**გალი. ცენტრალური სტადიონი. 21 აპრილი.**

**„მზიური": მაკასარაშვილი (დ. ჩხეტია), ყოლბაია (ლურწკაია), კაკავა, ა. კვეკვესკირი, ხურცილავა, კ. კვეკვესკირი, გაბისონია (მ. კვეკვესკირი), ეთერია, დ. ჩხეტია, სარჩილავა, ქანთარია.**

**„ლიახვი": ხაჩიროვი, ვ. ხუბეჯიშვილი, კახნიაშვილი, მარღიევი, ა. ჯიოევი, გასიევი, დოგუზოვი, სანაკოევი (ი. ჯიოევი), რომელაშვილი (ნასუაშვილი), გ. ხუბეჯიშვილი, ზვიაგინცევი (გობოზოვი).**

**მსაჯები: მ. მიმინოშვილი, რ. ტალიაშვილი (თბილისი), ს. კახიანი (სამტრედია).**

**გოლები: გაბისონია-2.**

* * *

ამ ტურის შეხვედრა ხაშურის „ივერიასა" და გორის „დილას" შორის (ეს მატჩი გორში გაიმართა) დამთავრდა გორელი ფეხბურთელების გამარჯვებით — 3:1.

**„ბათუმი" (ბათუმი) — „ოდიში" (ზუგდიდი) 1:0 (1:0).**

**ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 22 აპრილი.**

**„ბათუმი": ბალაძე, გოგიტიძე, მეძდლიშვილი, დურდიაძე, კიკლიაშვილი, ზედანია (მაჭუტაძე), მ. მახარაძე (შეყილაძე), ი. მახარაძე, შანიძე, ტულუში, მაისურაძე.**

**„ოდიში": ჰანტურია, კვიტატიანი, მაჭავარია, ო. თუთბერიძე, ჯა-**





…ლას კარგად ახსოვს ეროვნული ჩემპიონატის პირველ მატჩში გა… „სახალხო განათლებამ" და „შანსმა" ფულადი პრემია რომ და… ეროვნულ ჩემპიონატში მეტოქის კარში პირველი გოლის გამტანი… ასეთ კურიოზს თბილისის „იბერიას" და ფოთის „კოლხეთს" შო… რომ მოხდა, თურმე ანალოგიები მსოფლიო ფეხბურთის ისტორი… ჰქონია და ის იყო კომენტატორი ამ კურიოზის შესახებ უამბო… ბ… ლემაყურებელს, კეტაშვილმა საკუთარ კარში „ბრწყინვალე" ბურთ… ტანა. ასე დამთავრდა პირველი მატჩი. პრიზის დამწესებელი რედ… საფიქრალში ჩავარდნენ, ვინ უნდა გამხდარიყო მათი ჯილდოს მფ… ელი.

…ი, ყველაფერი მშვიდობიანად გადაწყდა. პრიზმა მოძებნა ღირსეულ… ეროვნული ჩემპიონატის პირველ მატჩში თამაშში ბურთი პატარა ვიტ… დარასელიამ შეიყვანა. მისი მამის დამსახურება ქართული ფეხბურთ… წინაშე ფასდაუდებელია, ბიჭსაც კარგი მონაცემები აქვს, მარცხენა ფ… მამასავით მარჯვედ ხმარობს და პრიზიც მას მიეკუთვნა.

…ურათზეც სწორედ ის მომენტია აღბეჭდილი, საქართველოს ცენტ… რ… კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი ვახტანგ ესვანჯია, შემ… ლი სალაროს წიგნაკს გადასცემს ვიტალი დარასელიას.

…ძალიან მინდა მამისნაირი ფეხბურთელობა, ოღონდ ცენტრფორვარ… უფრო მიტაცებს. ვეცდები გავამართლო თქვენი და მამას იმედები, …ითხრა 11 წლის ვიტალიმ. ვეფერებოდით, შევხაროდით და გუ… ვნატრობდით:

— ღმერთმა ჰქნას კიდევ ერთი დიდი ვიტალი!

**…ვილი, ნადარეიშვილი, მალანია, …(ჯიქია), ბიგვავა, გოგოხია (…ა), აფაქიძე.**

**…ები: გ. სეფიაშვილი, მ. მალა… ო. გუნთაძე (თბილისი).**

**…ვედრის** დაწყების წინ კიე… „ამოს" ყოფილმა ფეხბურთელმა ანატოლი შეპელმა, მიხეილ კო… სამახსოვრო საჩუქრები გა… ორივე გუნდის წარმომადგ… მიულოცეს საქართველოს ე… ჩემპიონატში მონაწილე… წარმატება უსურვეს ამ შე… ჯიბრში.

…მე-7 წუთზე ზუგდიდელებს ან… გახსნის შესაძლებლობა ჰქ… ბიგვავა შეიჭრა საჯარიმო… დანზე და სახიფათოდ ჩა… ბალაძის კართან, მაგრამ შა… განმუხტა მდგომარეობა. ამ …ოაცოცხლა ბათუმე… წუთზე მათ ხელიდან … აღების ნაღდი სა… ზედანიამ, შემდეგ …ძლიერესი დარტყმე… ჰანტურიას სიფხი… მეკარემ ორივე ბურ… ბათუმელებმა ჩაა… ხაზის გასწვრივ და … თავური დარტყმით … სტუმართა კარში, …ედა ბურთს, მაგრამ ხელიდან გაუვარდა და ბურთმა გადაკვეთა კარის ხაზი. მეკარემ მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანა ბურთი კარიდან. მსაჯმა გ. სეფიაშვილმა გოლი ჩათვალა და ანგარიშიც გაიხსნა — 1:0 „ბათუმის" სასარგებლოდ.

ამ ეპიზოდმა უკმაყოფილება გამოიწვია ზუგდიდელ ფეხბურთელებსა და მათი გულშემატკივრების ერთ ნაწილს შორის (ისინი მრავლად იყვნენ სტადიონის ტრიბუნებზე), რომლებიც შეეცადნენ კიდეც მინდორზე გადასვლას, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა და მეორე ტაიმი კორექტულად წარიმართა.

მეორე ნახევარში უპირატესობა ზუგდიდელთა მხარეს აღმოჩნდა, აქტიურობდნენ აფაქიძე. ბიგვავა, მინდორზე ახლად შემოსული ტიბუა, ზუგდიდელები სამჯერ დარჩნენ მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბალაძის საიმედო თამაშმა სამჯერვე გადაარჩინა „ბათუმის" კარი გოლისაგან.

მატჩის უკანასკნელ წუთზე ტიბუამ ცარიელ კარში ვერ გაიტანა გოლი. საბოლოოდ, შეხვედრის ანგარიში არ შეცვლილა და მასპინძლებმა მორიგი 3 ქულა ჩაიწერეს აქტივში.

**მუხრან კობალაძე,**
**(„ლელოს" საკ. კორ.).**

### გათამაშების ცხრილი

**…ლესი ჯგუფი** მდგომარეობა 24 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| …ჩხუთი) | 5 | 5 | 0 | 0 | 14-0 | 15 |
| …უთაისი) | 5 | 5 | 0 | 0 | 12-5 | 15 |
| …თუმი) | 5 | 4 | 1 | 0 | 6-0 | 13 |
| …(სამტრედია) | 5 | 3 | 2 | 0 | 10-5 | 11 |
| …ილისი) | 5 | 3 | 1 | 1 | 16-3 | 10 |
| …სთავი) | 5 | 3 | 1 | 1 | 9-4 | 10 |
| …3" (ფოთი) | 5 | 3 | 1 | 1 | 8-3 | 10 |
| … (ოზურგეთი) | 5 | 2 | 3 | 0 | 4-1 | 9 |
| …ხუმი) | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| …ი) | 5 | 2 | 1 | 2 | 8-8 | 7 |
| …ლი) | 5 | 2 | 0 | 3 | 6-13 | 6 |
| …ური) | 5 | 1 | 0 | 4 | 2-8 | 3 |
| …უმი) | 5 | 0 | 3 | 2 | 3-5 | 3 |
| …გდიდი) | 5 | 0 | 2 | 3 | 2-5 | 2 |
| … (წყალტუბო) | 5 | 0 | 2 | 3 | 5-10 | 2 |
| …906" (თბილისი) | 5 | 0 | 1 | 4 | 4-13 | 1 |
| …ამჩირე) | 5 | 0 | 0 | 5 | 0-11 | 0 |
| …ნვალი) | 5 | 0 | 0 | 5 | 1-18 | 0 |

### …უფი

**…რესპუბლიკის საფეხ… …ონატის მორიგი ტუ… …ები I ჯგუფის გუნ…**

…ალენჯიხა) — „ჩიხუ… ) 6:2, ფიზკულტურის …თბილისი) — „დინა… 1:0, „მარგვეთი" (ზე… „არაგვი" (დუშეთი) 1:0 „სიონი" (ბოლნისი — „ძალაროე… ლი" (პიათურა) 4:2, „არმაზი" (მცხე… თა) — „კახეთი" (თელავი) 1:3, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 4:3, „დურუჯი" (ყვარელი) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „იმერეთი" (ხონი) 2:1, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „სულორი" (ვანი) 0:0.

### ისინი იტალიაში გამოვლენ

# კამერუნი



**აფრიკული** ფეხბურთი ბოლო წლებში მკვეთრ აღმავლობას განიცდის. ახლა ბევრი აფრიკელი ფეხბურთელი თამაშობს ევროპის საუკეთესო კლუბებში, სწორედ აფრიკული თვითმყოფადი ფეხბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია კამერუნის ნაკრები. ნუ დავივიწყებთ, რომ კამერუნის გუნდი ერთადერთია, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში არც ერთი მატჩი არ წაუგია, თუმცა, ფინალურ ტურნირში, კამერუნის ნაკრებმა მხოლოდ ერთხელ, 1982 წელს იასპარეზა ესპანეთში. მაშინ მათ ფრედ 0:0 ითამაშეს პოლონეთისა და პერუს გუნდებთან და ასევე ფრედ (1:1) დაამთავრეს შეხვედრა იტალიელებთან. ამ უკანასკნელებმა მხოლოდ მეტი გატანილი ბურთის წყალობით გაუსწრეს კამერუნელებს, მოხვდნენ ჩემპიონატის ფინალისტთა შორის და შემდეგ ჩემპიონების ოქროს მედლებიც მოიპოვეს.

კამერუნის ნაკრები ორჯერ იყო აფრიკის კონტინენტის ჩემპიონი — 1984 და 1988 წლებში, ერთხელ (1986) — ვიცე-ჩემპიონები. ნაკრების რამდენიმე წევრი ამჟამად ევროპის საკლუბო გუნდებში ასპარეზობს. გუნდის ბოლო წლების წარმატებები ფრანგი მწვრთნელის კლოდ ლერუს სახელთანაა დაკავშირებული. ბოლო ხანებამდე გუნდს სათავეში ედგა საბჭოთა მწვრთნელი ვალერი ნეპომნიაშჩი (ადრე იგი სამარყანდის „დინამოში“ თამაშობდა).

„აფრიკელ, კერძოდ კი კამერუნელ ფეხბურთელებთან მუშაობა საკმაოდ რთული საქმეა. თქვა ვ. ნეპომნიაშჩიმ, — მათთვის უცხოა რაციონალიზმი. კამერუნელებს მხოლოდ პირველი 15 წუთის განმავლობაში ახსოვთ, თუ რა დარიგება მისცა მწვრთნელმა, დანარჩენი დრო კი სრული იმპროვიზაციაა. დიდი სამუშაოს ჩატარება დამჭირდა. იძულებული გავხდი რეჟიმის სისტემატური დარღვევისთვის რამდენიმე ფეხბურთელი დამეთხოვა გუნდიდან. ამჟამად, ვფიქრობ, გუნდი კარგ ფორმაშია და ბევრი სიურპრიზის მოტანა შეუძლია ჩემპიონატში“. მაგრამ ვ. ნეპომნიაშჩი ნაკრების მწვრთნელობიდან სულ ახლახანს დაითხოვეს...

კამერუნის ნაკრების კანდიდატები არიან: **მეკარეები** — ჟოზეფ-ანტუან ბელი (35 წლის, თამაშობს საფრანგეთის „ბორდოში“), ტომას ნ'კონო (34, „ესპანიოლი“, ესპანეთი), ჟაკ სონგოო (24), ენდრიუ ბოე (27); **მცველები** — სტეფან ტატავი (26, ემანუელ კუნდე (33), პიერ ონანა (24), შარლ ნტამარკი (26), ჟან-კლოდ პაგალი (26, „ლა-როშ-სიურ-იონი“, საფრანგეთი), ბენჟამენ მასინგი (28, „კრეტეი“ საფრანგეთი), ვიქტორ ნ'დიპ აკემი (26), რიშარ აბენა (23), ბერტენ-ენდრიუ ებველე (28), ტომას ლიბიხი (23); **ნახევარმცველები** — რიშარ ჩაკუნანგი (24), სირილ მაკანაკი (24, „ტულონი“, საფრანგეთი): ჟან-დენი მანდანგი (27), ენდრიუ-კანა ბიიიკი( (24, „მეცი“, საფრანგეთი), ლუი-პოლ მ'ფედე (30), ბონავენტურ ჯონკეპი (28), ემანუელ მ-ბუ (30, „ჰავრი“, საფრანგეთი), ერნესტ ებონგი (26, „გიმარაეში“, პორტუგალია), გრეგუარ მ'ბიდა (32, „იუნიონი“, ლუქსემბურგი); **თავდამსხმელები** — ბონიფას პანენბერგი (18, „ლა-როშ-სიურ-იონი“, საფრანგეთი), ეჟენ ეკეკე (29, „ვალანსიენი“, საფრანგეთი), ფრანსუა-ომამ ბიიიკი (23, „ლავალი“, საფრანგეთი).

კამერუნის ნაკრებს საკმაოდ ძლიერი დაცვის ხაზი ჰყავს. აფრიკელი ფეხბურთელები კარგად ფლობენ ბურთს, მაგრამ მათი დიდი ნაკლია ტაქტიკური ხარვეზები. პარადოქსია, მაგრამ კამერუნელი ფეხბურთელები გაცილებით უფრო ძლიერად თამაშობენ სტუმრად, ვიდრე შინ, თავიანთი მომთხოვნი გულშემატკივრების თანდასწრებით. გუნდის წინაშე რამდენიმე ძნელად გადასაწყვეტი პრობლემა დგას. პირველი და მთავარი ისაა, რომ ის ფეხბურთელები, რომლებიც ევროპაში გამოდიან, მაისში ამთავრებენ სეზონს და ჩემპიონატისთვის საკმაოდ დაღლილები იქნებიან. გარდა ამისა, მარტში კამერუნელებმა ითამაშეს აფრიკის თასის გათამაშებაზე და გაიმარჯვეს კიდეც. ერთი სიტყვით, ახალ მწვრთნელსაც და ფეხბურთელებსაც დიდი შრომის გაწევა დასჭირდებათ, რათა მსოფლიო ჩემპიონატისთვის მეორედ მიაღწიონ სპორტული ფორმის პიკს.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში კამერუნის ნაკრებმა 8 მატჩი ითამაშა (6 ჯგუფში, 2 ფინალში). გავიხსენოთ რა შედეგებით დამთავრდა ეს შეხვედრები: **ჯგუფში** — კამერუნი — ანგოლა 1:1, გაბონი —კამერუნი 1:3, ნიგერია — კამერუნი 2:0, ანგოლა — კამერუნი 1:2, კამერუნი — გაბონი 2:1, კამერუნი — ნიგერია 1:0, **ფინალში** — კამერუნი — ტუნისი 2:0; ტუნისი — კამერუნი 0:1.

**გიორგი ქორქია.**




# იტალიაში ყველაფერი რიგზე არაა

**სულ** ახლახანს, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ იტალიაში საგანგებო საინსპექციო კომისია გაგზავნა თავისი ვიცე-პრეზიდენტის, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ჰ. ნოიბერგერის მეთაურობით. ახლა, როცა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე სულ მცირე დრო დარჩა, უნდა შემოწმდეს ყველაფერი, რაც კი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობას უკავშირდება.

და გამოირკვა, რომ იტალიაში ყველაფერი რიგზე არაა. ჰ. ნოიბერგერმა ჯერ კიდევ ერთი თვის წინ აცნობა ფიფა-ს, რომ აქ უამრავი რამ მოსაწესრიგებელია, იტალიელები კი მაშინაც და მერეც ირწმუნებიან რომ დრო ითმენს, შესაშფოთებელი არაფერია და 8 ივნისისთვის ყველაფერი მოწესრიგდება. მაგრამ ფიცი ერთია, ფაქტები კიდევ სულ სხვა. კერძოდ, მილანის „სან-სიროს“ ცნობილ სტადიონზე სათამაშო მინდორი ისეა გატიალებული, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩის ჩატარება იქ ფაქტიურად არ შეიძლება. საკავშირო ტელევიზიამ ამას წინათ გვაჩვენა მილანის სტადიონის მინდორი და, მართლაც, იგი სრულიად უვარგის მდგომარეობაში იმყოფება. „სან-სიროს“ სტადიონზე ბალახის საფარი მთლიანად შესაცვლელია, 7 ათასი კვადრატული მეტრი გაზონის დაგება კი არც ისე იოლი საქმე გახლავთ.

ნეაპოლის „სან-პაულოს“ სტადიონზე ჯერ არ დაუმთავრებიათ ტრიბუნების მშენებლობა, სტადიონის გარშემო მთელი ტერიტორია ათხრილია, ორმოები და ბეტონის კონსტრუქციების ზედახორა აშკარა საფრთხეს უქმნის მაყურებელს და ყველაფერი ეს უახლოეს ხანებშია მოსაწესრიგებელი. გენუის მერმა ჩ. კამპარტმა გაზეთში განაცხადა, რომ „ლუიჯი ფერარისის“ სტადიონის მიღებაზე ხელს არ მოაწერს, ვინაიდან აქ ჯერ კიდევ ბევრი რამაა წესრიგში მოსაყვანი.

მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ კლუბების ხელმძღვანელები, ვის მფლობელობაშიც იმყოფება სტადიონები, არ აპირებენ დროულად გაათავისუფლონ ისინი და ღვთისნიერი სახე მისცენ თავიანთ ბაზებს. მათ კვლავინდებურად გამოჰყავთ თავიანთი გუნდები იტალიის ჩემპიონატში. ბევრ სტადიონზე გამოსაცვლელია ელექტრომოწყობილობა.

იტალიის ფეხბურთის გამგებლებს არაერთხელ შეახსენეს, რომ ყველა სამუშაო მათ შარშან ოქტომბერში უნდა დაემთავრებინათ. ისინი კი აჭიანურებენ რემონტს და ვითარებაც ახლა ასე გამწვავდა.

ერთი სიტყვით, როგორც უცხოური გაზეთები იუწყებიან, იტალიაში მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების საქმე კარგად ვერაა, ფინალური თამაშების დაწყებამდე კი თითებზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**განვლილ** შაბათ-კვირას გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის IX ტურის შეხვედრები: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 6:0, „არარატი“ (ერევანი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0, „დინამო“ (კიევი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 2:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 2:2, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:0.

### ბრაზილიელთა შემადგენლობა

**ბრაზილიის** ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა სებასტიან ლაზარონიმ დაასახელა 22 მოთამაშე, რომლებიც იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. ნაკრების შემადგენლობიდან 12 ფეხბურთელი ევროპის კლუბებში თამაშობს, ხოლო მიულერი, მოზერი, ბრანკო, კარეკა, სილაში, ალემაო და გალვაო 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატშიც გამოდიოდნენ. სათუოა იტალიაში რომარიოს გამგზავრება, რომელმაც მარტში ფეხი დაიზიანა და შესაძლოა ივნისამდე ვერ აღიდგინოს ფორმა.

ს. ლაზარონიმ განაცხადა: „თუ ბრაზილიელი ფეხბურთელი გააცდენს რამდენიმე ვარჯიშს, მას ნაკრებიდან გავრიცხავთ, ვინაიდან ახლა მთავარია მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისი და სხვა არაფერი.

აი, ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობა: **მეკარეები** — ტაფარელი („ინტერნაციონალი“), აკასიო („ვასკო და გამა“), კარლუში „(ფლამენგო“), **დაცვა** — ბრანკო („პორტუ“), მაზინიო („ვასკო და გამა“), ჟორდინიო („ბაიერი“, ლევერკუზენი), გალვაო („ბოტაფოგო“), ალდაირი („ბენფიკა“), გომეში („ბენფიკა“), როშა („სან-პაულუ“), მოზერი („მარსელი“); **შუა ხაზი** — სილაში („სპორტინგი“, ლისაბონი), ვალდო („ბენფიკა“), ბისმარკი („ვასკო და გამა“), ტიტა („ვასკო და გამა“), ალემაო („ნაპოლი“), დუნგა („ფიორენტინა), **თავდასხმა** — კარეკა („ნაპოლი“), მიულერი („ტორინო“), ბებერტო („ვასკო და გამა“), რომარიო („ეინდჰოვენი“), რენატო („ფლამენგო“).

**პარიზი.** საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩში „მარსელის“ ფეხბურთელებმა სტუმრად წააგეს „პარი-სენ-ჟერმენთან“ — 1:2 და კვლავინდებურად ქულით ჩამორჩებიან ლიდერს — „ბორდოს“, თუმცა, „მარსელს“ ერთი თამაში აქვს თადარიგში.

მესამე ადგილისთვის იბრძვიან „მონაკო“ და „პარი-სენ-ჟერმენი“.

ბომბარდირთა დავაში წინაა მარსელელი ჟან-პიერ პაპენი, რომელსაც 28 ბურთი აქვს გატანილი.

**ბონი.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატის დამთავრებამდე მიუნხენის „ბაიერნი“ 5 ქულით უსწრებს მეტოქეებს, მაგრამ განვლილ ტურში ლიდერმა ქულა დაკარგა აუტსაიდერთან— „ფორტუნასთან“ შეხვედრაში. მეორე ადგილის პრეტენდენტები არიან „აინტრახტი“, „ბაიერი“ (ლევერკუზენი) და „კიოლნი“. „კიოლნმა“ საკუთარ მინდორზე მოულოდნელი მარცხი იწვნია „კარლსრუესთან“ შეხვედრაში — 0:5.



**ლონდონი.** ინგლისის ჩემპიონატში ოქროს მედლების მოპოვების შანსი მხოლოდ ორ გუნდს დარჩა — „ლივერპულს“, რომელმაც 35 მატჩში 70 ქულა დააგროვა (გამარჯვებისათვის ინგლისში გუნდს 3 ქულა ეწერება) და „ასტონ ვილას“, რომელსაც 36 თამაშის შემდეგ 68 ქულა აქვს. განვლილ ტურში „ლივერპულმა“ ანგარიშით 4:1 დაამარცხა „ჩელსი“, ხოლო „ასტონ ვილამ“ — „მილუოლი“ — 1:0.

ბომბარდირთა შორის წინაა ცნობილი ფორვარდი ჰარი ლინეკერი — 26 ბურთი.



## ბრინჯაოს მედლები „ბუდიველნიკს“

**კიევი.** როგორც ვიუწყებოდით, უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის პირველი სუპერფინალური მატჩი ალმა-ათის არმიელებსა და ადგილობრივ „ბუდიველნიკს“ შორის დამთავრდა ყაზახეთის გუნდის გამარჯვებით, მაგრამ ბრინჯაოს მედლებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევი იყო, ვინაიდან ალმაათელებს საპასუხო შეხვედრა კიევში უნდა ჩაეტარებინათ.

მეორე ორთაბრძოლა კიევის გუნდმა მოიგო ანგარიშით 92:81 (48:46). ჩემპიონატის დებულების თანახმად, იქვე, უკრაინის დედაქალაქში მესამე, გადამწყვეტი მატჩი ჩატარდა. მასპინძლებმა ეს შეხვედრაც მოიგეს, ოღონდ უფრო მძაფრ და შეუპოვარ ბრძოლაში — 74:72 (უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ტაიმში სტუმრების ერთგვარი უპირატესობა იგრძნობოდა — 41:36). მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლლები ამ გათამაშებაში კიევის „ბუდიველნიკს“ დარჩა.

## გამარჯვება ბოლო პარტიაში და III ადგილი

**დორტმუნდში** (გფრ) დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც 4 ტურნირი ჩატარდა: დიდოსტატთა (მე-13 კატეგორია), დიდოსტატთა II (მე-9 კატეგორია), საერთაშორისო ოსტატთა (მე-5 კატეგორია) და ღია ტურნირი. ეს უკანასკნელი შვეიცარიული სისტემით 11 ტურად გაიმართა, ხოლო დანარჩენი წრიული სისტემით და თითოეულ მათგანში 12-12 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

მე-13 კატეგორიის დიდოსტატთა ასპარეზობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. ა. ჩარნინი — 9 ქულა, II. ბ. გელფანდი — 8,5, III-IV. ჟუჟა პოლგარი, მ. ვალსი (გფრ) — 6-6, V. ზ. აზმაიფარაშვილი — 5,5.

— დიდოსტატთა მე-9 კატეგორიის ტურნირში I-II ადგილები 7-7 ქულით გაიყვეს ლ. ესპიგმა და რ. კანაკმა (ორივე — გდრ), ხოლო III-IV — ე. შმიდტელმა (გფრ) და მ. ლაზიჩმა (იუგოსლავია) — 6,5-6,5. V ადგილზე 6 ქულით გავიდა იუდით პოლგარი. სოფი პოლგარმა კი 4 ქულით X-XII ადგილები გაიყო.

საერთაშორისო ოსტატთა ტურნირში პირველობა წილად ხვდა ს. იანოვსკის — 9 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს ი. რიგომ (უნგრეთი) და ს. დრაჟიჩმა (იუგოსლავია) — 7,5-7,5. IV ადგილზეა ა. ფილიპოვიჩი (იუგოსლავია) — 6,5, V. ა. სუეტინი — 5,5.

ღია ტურნირში I-II ადგილები გაიყვეს ე. ბარეევმა და ა. პეტროსიანმა — 8,5-8,5, III-VI — გია გიორგაძემ, ს. სმაგინმა, ა. მიხალჩიშინმა და ი. სმირინმა — 8-8.

გავესაუბრეთ გიორგაძეს ამ ტურნირის შესახებ.

— შეჯიბრება უაღრესად საინტერესო გამოდგა, — გვითხრა გიორგაძემ, — აზმაიფარაშვილის არც თუ დამაკმაყოფილებელი გამოსვლა იმით უნდა აიხსნას, რომ მან ზედიზედ რამდენიმე ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ეტყობა გადაიღალა, თუმცა ზოგიერთი პარტია მაღალ დონეზე ჩაატარა. მე თავიდანვე დავწინაურდი: 3 შეხვედრიდან 3 ქულა მქონდა. მეოთხე პარტიაში უხეში შეცდომები დავუშვი და მოგებული პარტია დავთმე. მაგრამ ფინიშზე 7-დან 5 ქულის აღება შევძელი. ბოლო, პრინციპულ პარტიაშიც გავიმარჯვე. თამაშითაც და შედეგითაც კმაყოფილი ვარ, თუმცა, ალბათ, მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა.

**ვასილ ვაშაკიძე.**

## მრავალჭიდი ერთი ფავორიტით

**თბილისის** სპორტულმა ბაზებმა უმასპინძლეს საქალაქო პირველობას მშდ მრავალჭიდში. ეს შეჯიბრება, რომელიც, ტრადიციულად, ხუთ სახეობაში ტარდება, ამჯერად შეკვეცილი პროგრამით გაიმართა — იარაღის უქონლობის გამო მოასპარეზეებმა სროლა „გამოტოვეს“.

მეტოქეებს აშკარად აჯობეს პირველი მაისის რაიონის წარმომადგენლებმა — თითქმის ყველა საპრიზო ადგილი მათ დაიკავეს. სრული შემადგენლობით იასპარეზეს და ჩასათვლელი ქულები მიიღეს 26 კომისრის, ოქტომბრის, კიროვის, საქარხნო და კალინინის რაიონების გუნდებმა. საბოლოოდ, გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. პირველი მაისის რაიონი, 2. 26 კომისრის რ-ნი, 3. ოქტომბრის რ-ნი.

ორჯონიკიძის, საბურთალოს და ლენინის რაიონებმა მონაწილენი კი წარმოადგინეს, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა მრავალჭიდი ბოლომდე ვერ „გაასრულა“, რის გამოც ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღეს.

დასასრულ, გაგაცნობთ პირადი პირველობის პრიზიორებს: პირველი საფეხური. გოგონები. 1. ე. მჭედლიძე, 2. ნ. მწითური (ორივე — პირველი მაისის რ-ნი), 3. ვ. როშენკო (26 კომისრის რაიონი), ჭაბუკები. 1. ა. ოლენიანი, 2. ა. ტიპლინსკი, 3. ლ. ტატიევი (სამივე — პირველი მაისის რ-ნი), მეორე საფეხური. ქალები. 1. ლ. ნანიაშვილი, 2. ე. მინჩისკაია, 3. ნ. ნაცვლიშვილი (სამივე— პირველი მაისის რაიონი). ვაჟები. 1. კ. ღვალაშვილი, 2. მ. ხაბალაშვილი (ორივე— პირველი მაისის რ-ნი), 3. მ. მახლაური (ოქტომბრის რ-ნი).

რესპუბლიკური პირველობა მშდ მრავალჭიდში მოეწყობა 10-13 მაისს ხობში.

**ნ. გაჯოშიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## ფინალური ტურნირის წინ

**ჯერ** რამდენიმე სიტყვა ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის იმ შეხვედრებზე, რომლებიც ბოლო ტურში გაიმართა, მით უფრო, რომ ამ დღეს ორმა ლიდერმა — საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებმა გათამაშების ცხრილში პირველი მარცხი ჩაიწერეს. ამ მარცხს, არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონია, ვინაიდან ორივე კოლექტივს ფინალურ ტურნირში მონაწილეობა გარანტირებული აქვთ.

მაშ ასე, გთავაზობთ 22 აპრილს ჩატარებულ შეხვედრათა შედეგებს. შვეცია — სსრ კავშირი 3:1, კანადა — ჩეხოსლოვაკია 5:3, აშშ — გფრ 6:3 და ნორვეგია — ფინეთი 3:3.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 23 აპრილისათვის**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 5 | 5 | 0 | 0 | 30-12 | 10 |
| შვეცია | 5 | 5 | 0 | 0 | 23-7 | 10 |
| სსრ კავშირი | 5 | 4 | 0 | 1 | 31-8 | 8 |
| ჩეხოსლოვ. | 5 | 4 | 0 | 1 | 26-9 | 8 |
| აშშ | 5 | 1 | 0 | 4 | 12-32 | 2 |
| ფინეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 13-23 | 1 |
| ნორვეგია | 5 | 0 | 1 | 4 | 8-33 | 1 |
| გფრ | 5 | 0 | 0 | 5 | 6-25 | 0 |

დარჩენილ ორ ტურში ყურადღებას იპყრობს ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირისა და სსრ კავშირ-კანადის ჰოკეისტთა შეხვედრები, რომლებიც შესაბამისად 24 და 26 აპრილს გაიმართება, აგრეთვე, შვეცია-კანადის გუნდების ორთაბრძოლა (24 აპრილს).

### ინფორმაცია

**ოზურგეთის** მახლობლად მდებარე ქალაქებისა და რაიონების სპორტის მოყვარულები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საზოგადოების პრიზზე გამართულ კარტინგისტთა რესპუბლიკურ ასპარეზობას.

მონაწილეთა შორის იყვნენ თბილისელი, ოზურგეთელი, რუსთაველი, ბათუმელი, თელაველი, ქუთაისელი, სამტრედიელი სპორტსმენები.

წარმატებით გამოვიდნენ რუსთავის ავტოსკოლის სპორტსმენები, რომლებმაც გაიმარჯვეს ასპარეზობის ხუთი სახეობიდან ოთხში — „პიონერის“, „იუნიორის“, „საკავშირო ა“, „საკავშირო ბ“ კლასებში და მოიპოვეს პირველი საერთო გუნდური ადგილი.

პირად ჩათვლაში ასპარეზობის გამარჯვებულები გახდნენ: ალექსანდრე ბერუაშვილი („პიონერის“ კლასი), ირაკლი ქარქუზაშვილი („იუნიორი“), დავით ხარებოვი („საკავშირო ა“), კახაბერ აფციაური („საკავშირო ბ“, ყველა — რუსთავი). და სამტრედიელი გენადი დუნდუა („ც“ კლასი).

### ტელეტაიპი - მკითხველი

**კარლსრუე.** აქ გაიმართა საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელშიც თავი გამოიჩინეს სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა კიეველმა ალექსანდრა ტიმოშენკომ და მისმა თანაქალაქელმა ოქსანა სკალდინამ. ცალკეულ ვარჯიშებში მათ ყველაზე ბევრი ოქროს მედალი მიიღეს, თანაც ტიმოშენკოს გამოსვლა რგოლით ვარჯიშში 10 ქულით აღინიშნეს, ხოლო სკალდინამ იგივე შეფასება დაიმსახურა ბურთით ვარჯიშში.

**ლონდონი.** ინგლისის დედაქალაქის ტრადიციულ მარათონში პირველი ადგილი ბრიტანელმა ალისტერ ჰატონმა დაისაკუთრა. დისტანცია მან 2:10.10-ში გაირბინა. ქალთა შორის უძლიერესი იყო პოლონელი ვანდა პანფილი — 2:26.31. საბჭოთა მარათონელები ვერც ვაჟთა და ვერც ქალთა შორის პრიზიორებში ვერ მოხვდნენ.

**მარსელი.** რვა ქვეყნის წყალბურთელთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება საბჭოთა ნაკრებს ხვდა, ფინალში მან ესპანეთის ეროვნული გუნდი დაამარცხა — 10:7. მესამე ადგილზე გავიდნენ ევროპის ჩემპიონები — დასავლეთგერმანიის წყალბურთელები, რომლებმაც გადამწყვეტ შეხვედრაში აშშ-ს ნაკრებს აჯობეს — 8:4.

**კალინინგრადი.** აქ გაიმართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მარათონულ რბენაში. ვაჟთა შორის გამარჯვება 24 წლის ვორონეჟელმა ალექსანდრე ვიჩუჟანინმა მოიპოვა — 2:15.04, ქალებში უძლიერესი იყო ბაშკირეთის ქალაქ სალავათის წარმომადგენელი რამილია ბურანგულოვა — 2:32.21.

**ლენინგრადი.** შორ-ტრეკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე 3-კილომეტრიანი დისტანცია გორკელმა დიმიტრი ერშოვმა მოიგო. მისი დრო — 5.04,51 ახალი საკავშირო რეკორდია. ქალთა რბოლაში უძლიერესი იყო ასევე გორკელი მარინა აჩინოვა. ესტაფეტები, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, მასპინძლების — ლენინგრადელი მოციგურავეების წარმატებით აღინიშნა.

**მოსკოვი.** ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო დღეს ხუთი უმაღლესი ჯილდო გათამაშდა ცალკეულ იარაღებზე. ოქროს მედლები მოიპოვეს: ბაქოელმა ვალერი ბელენკიმ (ხტომები), მინსკელმა ვიტალი შერბომ (ორძელი), ვორონეჟელმა ალექსანდრე კოლივანოვმა (ღერძი), მოსკოველმა ტატიანა გროშკოვამ (ძელი) და ტაშკენტელმა ოქსანა ჩუსოვიტინამ (თავისუფალი ვარჯიში).

### ტელეტაიპი - მკითხველი

### კალეიდოსკოპი

● **არაბული** აღმოსავლეთის ქვეყნებში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა აქლემების დოღი გახლავთ. სწორედ ამიტომ სადოღე აქლემები მეტად ძვირად ფასობს. ამას წინათ, ომანში 12 ასეთი აქლემი 513 ათას დოლარად გაიყიდა.

● **რუმინეთის** სპორტის მინისტრის დინო კორნელის განცხადებით, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე ამ ქვეყნის გუნდის ყოველ მატჩზე დასწრების სურვილი 10 ათასმა კაცმა გამოთქვა, მაგრამ ორგანიზატორებმა რუმინელებს მხოლოდ 2 ათასი ბილეთი გამოუყვეს.

● **მსოფლიოს** უძლიერესმა „მფრინავმა მოთხილამურეებმა“ წერილით მიმართეს სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციას, რომელშიც რეკლამის გაფართოებას მოითხოვენ. წერილს ხელს აწერენ: იენს ვაისფლოგი (გდრ), ანდრეას ფელდერი (ავსტრია), ვეგარდ ოპოსი (ნორვეგია), რომ რიჩარდსი (კანადა), პრიმოჟ ულაგა (იუგოსლავია), ბერნარდ სოლა (ესპანეთი) და სხვ.

● **ავსტრალიაში** 1989 წლის საუკეთესო სპორტულ ნაგებობად მიჩნეულია სიდნეის კვარტალ მურპარკში აგებული სტადიონი. როგორც გადაწყვეტილებაშია ნათქვამი, ეს სპორტული ბაზა საინჟინრო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია და გამოირჩევა სიმარტივითა და ელეგანტურობით. სტადიონი გათვალისწინებულია 40 ათას მაყურებელზე.

## ბეკერი თავის თავზე და... ედბერგზე

**დასავლეთგერმანელი** ჩოგბურთელი ბორის ბეკერი, რომელმაც შარშანდელ სეზონში „დიდი მუზარადის“ ორი შეჯიბრება მოიგო და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თავისი გუნდის გამარჯვებას „დევისის თასზე“ 1989 წლის ყველა შეჯიბრების შედეგების გათვალისწინებით მსოფლიო ჩემპიონად გამოცხადდა. ეს ტიტული ჩოგბურთში სიმბოლურია, მაგრამ გარკვეული ფსიქოლოგიური მნიშვნელობა მაინც აქვს. ბეკერი კარგი მოსაუბრეა და ჟურნალისტებთან გულახდილ ლაპარაკს არ გაურბის. ამის დასტურია ინტერვიუ, რომელიც დასავლეთგერმანელმა ჩოგბურთელმა ესპანური ჟურნალის „პაისის“ კორესპონდენტს მისცა.

● **შარშან, ხანამ შვედ სტეფან ედბერგს დაამარცხებდით „დევისის თასის“ გათამაშებაში, წააგეთ მასთან შეხვედრა „მასტერსის“ ტურნირზე. როგორ ხსნით ამ ფაქტს?**

— მარტივად. „მასტერსი“ ჩემთვის ძნელი გამოცდა იყო. ფინალისთვის ძალზე დაღლილი ვიყავი. ედბერგს კი ჩემზე მეტი ძალა შემორჩა. განსაკუთრებით მომქანცა ნახევარფინალში ლენდლთან თამაშმა. ლენდლის დამარცხება მოგეხსენებათ, არ არის იოლი საქმე.

● **თუ არის კიდევ სხვა რაიმე მიზეზი?**

— სხვა რა უნდა იყოს! ედბერგი ძლიერი ჩოგბურთელია. მას ადრეც ვყავარ დამარცხებული და არ არის გამორიცხული, რომ მომავალშიც დამამარცხებს. თუმცა, მეც ალბათ იგივეს გავაკეთებ.

● **ხომ არ მოქმედებს ედბერგი თქვენზე ფსიქოლოგიურად?**

— თქვენ, გატყობთ განსაკუთრებულ პასუხს ელით ჩემგან, მაგრამ უნდა გაგაწბილოთ. „მასტერსის“ ტურნირს შარშან საგანგებო ყურადღებას არ ვუთმობდი. მთელი აქცენტი გადატანილი მქონდა „დევისის თასზე“, სადაც ათეულში შემავალი ოთხი ჩოგბურთელი დავამარცხე და საერთო შედეგით, უნდა გითხრათ, კმაყოფილი ვარ.

● **თქვენ ედბერგზე ლაპარაკობთ, როგორც ძალზე ძლიერ ჩოგბურთელზე. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მომავალში სწორედ ის იქნება თქვენი მთავარი კონკურენტი?**

— დიახაც ნიშნავს. ერთი ასაკისანი ვართ, ორივე კარგად ვთამაშობთ და ეს მეტოქეობა დიდხანს გაგრძელდება. ჩემის აზრით, ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შედეგებს მივაღწევთ დანარჩენ ჩოგბურთელებთან შეხვედრებში. ისინიც ჩვენზე არანაკლებ კარგად თამაშობენ.

● **წარმატებით გამოხვალთ წლეულს „დიდი მუზარადის“ შეჯიბრებებში?**

— ამის შესაძლებლობა არის, თუმცა ამაზე ფიქრს არ ვაპირებ. ჩემი უპირველესი ამოცანაა გავხდე მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი. დიდი სურვილი მაქვს, აგრეთვე, წარმატებით გამოვიდე საფრანგეთის ღია ჩემპიონატში. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ მიჭირს მიწის კორტებზე თამაში. მე კი მინდა საწინააღმდეგო დავამტკიცო. 1988 წელს ამ ტურნირის ფინალამდე მივაღწიე და ისევ ედბერგთან დავმარცხდი.

● **საფრანგეთის ღია ჩემპიონატისათვის სპეციალური გეგმით მოემზადებით?**

— რა თქმა უნდა. ისევე როგორც შარშან, მონაწილეობას მივიღებ რამდენიმე შეჯიბრებაში (მიწის კორტებზე), მათ შორის ბარსელონის ტურნირში.

● **როგორ ახერხებთ მუდამ მაღალ დონეზე თამაშს?**

— საჭიროა მაქსიმალური ყურადღება მთელი სეზონის განმავლობაში და ყოველდღიური ვარჯიში. საკუთარ ძალებში არასოდეს არ უნდა დაეჭვდე, ყოველთვის მოგებისთვის უნდა იყო განწყობილი. მაგრამ, ამავე დროს, მარცხმაც არ უნდა გაგიტეხოს გული.

### „სპორტლოტო“

**გაიმართა** „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-16 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან** 10 (წყალბურთი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 30 (ძალოსნობა), 31 (ფარიკაობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 44 (ჭადრაკი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 6 (ძიუდო), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 16 (ცხენოსნობა), 20 (აფრსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა).

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჭიჭინაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისათვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მარტვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08779